

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში

საშუალო სკოლის მოსწავლეების ღირებულებების განვითარების
მენეჯმენტი სასწავლო პროცესში დოკუმენტური ვიდეოს გამოყენებით
(სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია)

შორენა კუჭუხიძე

სადოქტორო დისერტაციის

ავტორეფერატი

განათლების მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2017

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. დოქტ. ნინო თვალჭრელიძე

ექსპერტები:

პროფ. დოქტ. ნიკოლოზ ფარჯანაძე

ასოც. პროფ. დოქტ. ირმა მესირიძე

ოპონენტები:

ასოც. პროფ. დოქტ. ირა დანელია

ასოც. პროფ. დოქტ. ირმა გრძელიძე

შესავალი

სასკოლო განათლება მოსწავლეთა ცხოვრების არსებითი და უმნიშვნელოვანესი საკითხია. იგი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ნიჭის აღმოჩენაში და ამზადებს მათ მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მოზარდების პიროვნული განვითარება და მათი ღირებულებების ფორმირებაა, რადგან სწორედ ამ ასაკში ხდება ცხოვრებისეული და პიროვნული მიზნების დასახვა, ზოგადი ადამიანური ღირებულებების ფორმირება.

ღირებულებები ფუნდამენტური შეხედულებები/რწმენებია, რომლებიც მოზარდის არჩევანსა და ქცევას წარმართავენ. არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვის ღირებულებების განვითარება მშობლების პასუხისმგებლობაა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სინამდვილეში მასწავლებლებს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებათ მოსწავლეთა აღქმის, აზროვნების, პიროვნული და მორალური განვითარებისა და ღირებულებების ფორმირების საკითხში. ამრიგად, ბავშვის ეთიკური და მორალური განათლება მჭიდროდაა დაკავშირებული სკოლის, კერძოდ კი, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამებთან (სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია). საზოგადოებრივი მეცნიერებების მიზანი განათლებული, პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდაა. ახალგაზრდებისთვის საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება ამაღლებს მათი ცნობიერების დონეს სოციალურ საკითხებთან მიმართებაში, ზრდის მათ პასუხისმგებლობას და უყალიბებს ეთიკურ და მორალურ ღირებულებებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლა მნიშვნელოვნად ზრდის მათი მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებად ჩამოყალიბების ალბათობას. ამასთან, იზრდება შანსი, რომ ისინი მომავალში ეთიკური და მორალური ღირებულებების დაცვით იცხოვრებენ. ამრიგად, ძალიან მნიშვნელოვანია სათანადოდ დაგეგმილი კურიკულუმის, სწავლების მეთოდებისა და კრეატიული მიდგომების არსებობა ამ სფეროში. სკოლის ხელმძღვანელობის ვალდებულებას ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელება და მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა წარმოადგენს, თუმცა, კონკრეტული საგნების სწავლების მეთოდებისა და

მიდგომების შემუშავება ძირითადად მასწავლებლების პასუხისმგებლობაა. სწორედ მასწავლებლები ასრულებენ გადამწყვეტ როლს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების, სასწავლო პროცესის საინტერესო და მიმზიდველი ფორმით დაგეგმვისა და განხორციელების საკითხში. ახლა, როგორც არასდროს, არსებობს საჭიროება იმისა, რომ სწავლების მეთოდები იყოს ინოვაციური და კრეატიული ახალგაზრდა თაობის ინტერესებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ახალგაზრდები იზრდებიან თანამედროვე ციფრულ გარემოში, თუმცა, საკლასო ოთახში მათ ხშირად ხვდებათ მეცხრამეტე საუკუნის პედაგოგიკის ე.წ. “დაფისა და ცარცის” მეთოდებით მომუშავე მასწავლებლები, რომლებიც ლექციური პრინციპით ასწავლიან საგნებს. ამრიგად, გასაკვირი არ არის, რომ სხვადასხვა კვლევის მიხედვით, სწავლების ასეთი მოძველებული მეთოდების პირობებში მოსწავლეთა ჩართულობის დონე ძალიან დაბალია. დღესდღეობით, მოსწავლეებს აქვთ მზარდი მოთხოვნა სწავლების განსხვავებული სახის მეთოდებისა და სტრატეგიების კუთხით. მათთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღება, არამედ საკუთარი ცოდნისა და იდეოლოგიის აგება, საკუთარი აზრებისა და გრძნობების გამოხატვა, გაზიარება და სხვებისგან ახალი გამოცდილების მიღება. თანამედროვე მოსწავლეები მზად არიან განიხილონ აქტუალური სოციალური საკითხები და გლობალური პრობლემები; მათ შეუძლიათ დებატების ინიცირება, კრიტიკულად აზროვნება, კითხვების ფორმულირება და საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პროცესში ახალი მეთოდებისა და მიდგომების ძიება, რათა მაქსიმალურად მოხდეს ახალგაზრდების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა მათი ღირებულებების ფორმირების, მორალური და ინტელექტუალური განვითარების გზით. მოცემული კვლევა ეფუძნება ღირებულებათა შემდეგ დეფინიციას: ღირებულებები ცნებები და/ან რწმენებია, რომლებიც ცხოვრების სახელმძღვანელო პრინციპებად ფორმირდება განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სოციალიზაციისა და განათლების გავლენით, სოციალური ინტერაქციის შედეგად. ეს პროცესი მეტად ეფექტური და შესამჩნევი ხდება, როდესაც ახალგაზრდები არა მხოლოდ წიგნებიდან იღებენ თეორიულ ცოდნას, არამედ აუდიოვიზუალური საშუალებების მეშვეობითაც.

აუდიოვიზუალური საშუალებები მიეკუთვნება დამატებით სასწავლო რესურსებს, რომელთა გამოყენების მიზანია სწავლების გაუმჯობესება, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჩანაწერები, ტრანსკრიპტები, ფირები, ფილმები და ვიდეოები, რადიო, ტელევიზია და კომპიუტერები.

აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენებით შესაძლებელი ხდება მოსწავლეებისთვის რეალისტური გამოცდილების მიწოდება, მათი ყურადღების მიპყრობა და სხვადასხვა სოციალური საკითხის შესწავლის გამარტივება. აუდიოვიზუალური საშუალებების აღქმა ხდება ვიზუალური და აუდიტორული შეგრძნებების მეშვეობით (Jain, 2004). არსებობს ცნობილი ანდაზა, რომლის მიხედვით: “მოსმენილი გვავიწყდება, ნანახს ვიმახსოვრებთ და კეთებისას კი ვსწავლობთ”, რაც მხარს უჭერს კონცეფციას, რომ აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენება სწავლა-სწავლებისა და ცოდნის გადაცემის პროცესს მეტად ეფექტურს ხდის. აუდიოვიზუალური საშუალებების, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლა-სწავლების პროცესის დამხმარე ინსტრუმენტის გამოყენება, საკმაოდ ახალი და მზარდი მიდგომაა საქართველოში. ამრიგად, მკვლევარი მიიჩნევს, რომ სწავლება აუდიოვიზუალური საშუალებებით, განსაკუთრებით კი დოკუმენტური ფილმების გამოყენებით, უმნიშვნელოვანესია მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის, მათი გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევებისა და ადამიანური ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის.

ეს კვლევის თემის აქტუალურ და მნიშვნელოვან ხასიათს განაპირობებს.

მოცემული დისერტაციის ფარგლებში მკვლევარის მიზანია შეისწავლოს შემდეგი საკითხები:

1. აუდიოვიზუალური საშუალებების, კერძოდ, დოკუმენტური ფილმების, გავლენა მოზარდთა ღირებულებებისა და შეხედულებების ფორმირებაზე საზოგადოებრივი მეცნიერებების (სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია) სწავლა-სწავლების პროცესში საშუალო სკოლის დონეზე (IX-XII კლასები).
2. “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდის ეფექტურობა მასწავლებლებს შორის.

3. “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდის გავლენა საკლასო მენეჯმენტის ეფექტურ პრაქტიკაზე.

დისერტაციის პრობლემებია:

1. აქვს თუ არა დოკუმენტური ფილმების გამოყენებას გავლენა საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა-სწავლების პროცესზე საშუალო სკოლის დონეზე?
2. წარმოადგენს თუ არა დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლება მოზარდის ღირებულებების ფორმირების პროცესის ეფექტური მენეჯმენტის საშუალებას?
3. როგორ აფასებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენებას?
4. საგანმანათლებლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენება როგორ განაპირობებს საკლასო მენეჯმენტის გაუმჯობესებას?
5. როგორ შეიძლება დოკუმენტურ ფილმებსა და მათი პოტენციური გავლენის შესახებ მასწავლებელთა ცნობიერების გამოყენება დადებითი საკლასო გარემოს შესაქმნელად?

კვლევის ჰიპოთეზა აგებულია შემდეგ მოსაზრებებზე დაყრდნობით:

1. დოკუმენტური ფილმების გამოყენება დადებითად აისახება საგნის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის სტიმულირებაზე.
2. დოკუმენტური ფილმების გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მონაწილეობისა და მათი ჩართულობის მაღალი დონის მიღწევას საკლასო პროცესში.
3. სოციალური საკითხების სიღრმისეული გაგება-გააზრება, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირების პროცესზე.

4. საგანმანათლებლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენება გამოიწვევს მოსწავლეთა ჩართულობის მაღალ დონეს, რაც თავის მხრივ, განაპირობებს გაუმჯობესებულ საკლასო მენეჯმენტს.

ზემოთ განხილული პრობლემების გადასაჭრელად მკვლევარმა გამოიყენა კვლევის შემდეგი მეთოდები:

- თემასთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის განხილვა და ანალიზი
- კითხვარები
- ექსპერიმენტი
- ჩაღრმავებული ინტერვიუ
- ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი
- თვისობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ტრანსკრიფცია და ანალიზი

სიახლე:

მაშინ, როდესაც მსოფლიოში უამრავი კვლევა ეძღვნება სასწავლო პროცესში აუდიოვიზუალური მასალების გამოყენების გავლენის საკითხის, არსებობს მხოლოდ მწირი სისტემატური კვლევა, განსაკუთრებით, ემპირიული კვლევები, საგანმანათლებლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენების შესახებ. ეს კვლევა პირველი გახლავთ საქართველოში, რომელიც შეისწავლის “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდს სკოლის დონეზე, რაც ხაზს უსვამს კვლევის ინოვაციურ ხასიათს. მოცემული კვლევით შესაძლებელი ხდება გავანალიზოთ თუ რა როლს თამაშობს დოკუმენტური ფილმების გამოყენება მოსწავლეთა პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებაში, და ამასთან, გავიგოთ თუ როგორ აფასებენ საქართველოში მასწავლებლები სასკოლო პრაქტიკაში დოკუმენტური ფილმების გამოყენებას. აღნიშნული კვლევა ასევე ფოკუსირებულია გამოავლინოს თუ როგორ აუმჯობესებს სასწავლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენება საკლასო მენეჯმენტს.

თეორიული ღირებულება

კვლევის თეორიული საფუძვლებია:

- სხვადასხვა მკვლევარებისა და ანთროპოლოგების მიერ წარმოდგენილი კონცეფციები ღირებულებების საკითხზე Clyde Kluchkhon (1951), Shalom H. Schwartz and Wolfgang Bilsky (1987), Milton Rokeach (1973), Geert Hofstede (1980), William I. Thomas and Florian Znaniecki (1927).
- ინტელექტუალური და მორალური განვითარების სფეროში გამორჩეული თეორიტიკოსების მიერ შემოთავაზებული იდეები და თეორიები Gean Piaget (1952), Lev Vygotsky (1978), Lawrence Kohlberg (1976), Carol Gilligan (1982).
- პიროვნების თეორიები Gordon Allport (1961), Eric Erikson (1968).
- აუდიოვიზუალური საშუალებების როლი განათლებაში Andre Lestage (1959).

როგორც აღვნიშნეთ, მოცემული კვლევა მიზნად ისახავს იმის შეფასებას, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების პროცესში (IX-XII კლასები) დოკუმენტური ფილმების გამოყენება მოსწავლეთა პიროვნული ღირებულებების ფორმირებაზე. კვლევის მიგნებების გათვალისწინება პოტენციურად დიდ წვლილს შეიტანს საქართველოში არსებული სასკოლო განათლების სფეროს დახვეწაში. კვლევა მიზნად ისახავს იყოს სასარგებლო განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის, აამაღლოს მათი ცნობიერების დონე სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით და დაიმკვიდროს თავისი ადგილი აკადემიურ ლიტერატურაში.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევა მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლეების, მასწავლებლების და სასკოლო განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის, რადგან იგი სიღრმისეულად იკვლევს სასწავლო პროცესში აუდიოვიზუალური საშუალებების, კერძოდ, დოკუმენტური ფილმების გამოყენების გავლენასა და ეფექტურობას მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირების პროცესთან მიმართებაში.

მეტიც, აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან ის მიმართულია შეისწავლოს ზოგადად სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საკითხი, რის საფუძველზეც იზრდება მოსწავლეთა მოტივაციის დონე, მათი აკადემიური შედეგები. კვლევის მიგნებები აამაღლებს საშუალო სკოლის პედაგოგებისა და განათლების სფეროში გადაწყვეტილების მიმღებთა ცნობიერების დონეს საგანმანათლებლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენების მნიშვნელობის შესახებ. ამასთან, კვლევა შესთავაზებს საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებსა და მკვლევარებს პრაქტიკულ რეკომენდაციებს, თუ როგორ ასწავლონ უფრო ეფექტურად დოკუმენტური ფილმების გამოყენებით.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალი, 3 თავი, დასკვნა, რეკომენდაცია და 12 დანართი. მასში მოტანილია 16 ცხრილი და 94 დიაგრამა.

დისერტაციის შინაარსის მოკლე მიმოხილვა

ნაშრომის **პირველი თავი** არის ღირებულებების/მორალის დეფინიციის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა. ამ თავში მოცემულია ადამიანის ღირებულებების შესახებ არსებული სხვადასხვა თეორიის განხილვა და ანალიზი. დისერტაციაში წარმოდგენილია გამოჩენილ მოაზროვნეთა შეხედულებები ღირებულებებისა და მორალური განვითარების საკითხებზე.

მოცემული თავი ფოკუსირდება დამოკიდებულებაზე განათლებასა და ადამიანის ღირებულებების შორის და ამტკიცებს განათლების გავლენას ადამიანის ღირებულებების ფორმირების პროცესსა და განვითარებაზე.

პირველ თავში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია საკლასო მენეჯმენტის როლის მნიშვნელობაზე განათლების სფეროში. აღნიშნულია, რომ არასათანადო საკლასო მენეჯმენტის პირობებში ვერ მოხერხდება ეფექტური სწავლება და სწავლა (Jones& Jones, 2012; Marzano, Marzano&Pickering, 2003; Van de Grift, Van der Wal&Torenbeek, 2011). შესაბამისად, სწორი საკლასო მენეჯმენტი კრიტიკულ როლს თამაშობს ისეთი

გარემოს შექმნაში, რომელშიც სწავლა-სწავლების პროცესი პროგრესს განიცდის. დადებითი სასწავლო გარემო ხელს უწყობს სწავლების პროდუქტიულობას, ზრდის ამოცანის/დავალეების შესრულებაზე დახარჯულ დროს, ამცირებს გადაცდომებს, ხელს უწყობს მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობას და ბოლოს, აძლიერებს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთკავშირს.

პირველი თავის შეჯამება

დისერტაციის პირველ თავში მოყვანილია თეორიები, რომლებიც განათლებასა და ადამიანის ღირებულებების განვითარებას შორის კავშირს ადასტურებს.

სკოლას დიდი როლი უჭირავს ადამიანის ინტელექტუალურ და მორალურ განათლებაში. ამ თვალსაზრისით, მასწავლებლები მოსწავლის ცხოვრებაში ძალზე გავლენიან და მნიშვნელოვან პირებად უნდა მივიჩნიოთ. ისინი ეხმარებიან ახალგაზრდებს საკუთარი თავისა და სხვების შეცნობაში, გადაწყვეტილებების მიღებასა და მორალური რეფლექსიის უნარების განვითარებაში.

მასწავლებლებს საკვანძო ადგილი უჭირავთ სკოლებში ისეთი პოზიტიური ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ღირებულებების განვითარებას. მასწავლებლებმა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა შეიმუშავონ მრავალფეროვანი მიდგომები მოსწავლეთა ინტელექტუალური და მორალური განვითარების სტიმულირებისათვის. ეს მასწავლებლებისგან მოითხოვს შესაბამისი სურვილის არსებობას, მისაბამი საქციელის მოდელირებას, რესურსებს და კრეატიულ მიდგომას.

ამრიგად, განათლების მეშვეობით შესაძლებელია მოზარდთა მორალური ზრდის ხელშეწყობა, მათი ღირებულებების ფორმირება/განვითარება. სკოლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია, სადაც ბავშვებსა და მოზარდებში ამგვარ პიროვნულ ცვლილებებს ხელი უნდა ეწყობოდეს. სკოლა წარმოადგენს ინსტიტუტს, რომელიც მომავალ თაობას ამზადებს, როგორც აკადემიური, ისე მორალური პიროვნების აღზრდის კუთხით.

მეორე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია მოზარდობის პერიოდის მახასიათებლებზე. განვითარების ეს კრიტიკული პერიოდი ჩვეულებრივ

გულისხმობს პერიოდს, პუბერტატსა და სოციალური დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებას შორის (Steinberg, 2014). მოზარდობის პერიოდს თან ახლავს დრამატული ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური და ემოციური ცვლილებები, რაც ერთის მხრივ, წარმოადგენს სირთულეებს, მეორეს მხრივ კი, შესაძლებლობებს, როგორც მოზარდებისთვის, ისე მათი ოჯახებისთვის და განმანათლებლებისთვის.

მოზარდები იმსახურებენ ისეთ ღირებულ საგანმანათლებლო გამოცდილებას და სკოლებს, რომლებიც შეესაბამება მათი ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური/ფსიქოლოგიური, მორალური/ეთიკური და სოციალური განვითარების მახასიათებლებს (Caissy, 2002). პრაქტიკოსი პედაგოგები, მშობლები და სხვა პირები, რომლებიც მოზარდებთან მუშაობენ, უნდა ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას მოზარდობის პერიოდის თავისებურებებისა და მახასიათებლების შესახებ.

მოცემულ თავში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია თანამედროვე ქართული განათლების სისტემის შესახებ და განხილულია ეროვნული სასწავლო გეგმის, სწავლების მიდგომებისა და სტრატეგიების კუთხით განხორციელებული ბოლოდროინდელი რეფორმები.

მეორე თავში განხილულია ინფორმაცია სასწავლო რესურსების, კონკრეტულად, აუდიოვიზუალური საშუალებების შესახებ. კვლევებით დასტურდება, რომ აუდიოვიზუალური საშუალებები მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ინსტრუმენტია და წარმოადგენს ცოდნის გადაცემის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას. მასწავლებლები ხშირად იყენებენ აუდიოვიზუალურ საშუალებებს სასკოლო სახელმძღვანელოებთან ერთად. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში საკითხის უკეთ გაგება-გააზრებასა და ცოდნის შენარჩუნებას.

და ბოლოს, მეორე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია ფართოდ გავრცელებული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ - “ერთი მსოფლიო სკოლებში”, რომელსაც ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია “ადამიანი გაჭირვებაში” ახორციელებს.

საგანმანათლებლო პროგრამა “ერთი მსოფლიო სკოლებში” ფოკუსირდება დოკუმენტური ფილმების და სხვა აუდიოვიზუალური მასალების მეშვეობით

სწავლების პოპულარიზაციაზე. პროგრამის 15 წლიანი გამოცდილება ადასტურებს, რომ დოკუმენტური ფილმების ჩვენება ეფექტური საშუალებაა საიმისოდ, რათა მოსწავლეთა შორის მოხდეს კონსტრუქციული დებატების ინიცირება ადამიანის უფლებების, განათლების, გარემოს დაცვის, რასიზმის და სხვა მნიშვნელოვანი სოციალური საკითხების შესახებ, რის პარალელურადაც ხდება მოსწავლეთა ღირებულებებისა და შეხედულებების ფორმირების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროგრამა “ერთი მსოფლიო სკოლებში” იყენებს დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ ადამიანის უფლებების ყოველწლიურ ფესტივალზე “ერთი მსოფლიო”. ფესტივალი 1999 წლიდან ჩეხური ორგანიზაციის “ადამიანი გაჭირვებაში” მიერ ტარდება. ფილმების შერჩევასა და გათვალისწინებულია მათი თემატიკა, ხანგრძლივობა, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში (კოსოვო, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია, მონღოლეთი, სომხეთი, საქართველო) ხორციელდება.

ამჟამად, ჩეხეთის რესპუბლიკაში 3000-ზე მეტი დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებელი იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის “ერთი მსოფლიო სკოლებში” ფარგლებში შემუშავებულ მასალებს. საქართველოში იგი 2010 წლიდან დაიწყო.

2011-2013 წლებში საქართველოში 250, სომხეთში - 70 და მონღოლეთში 62 მასწავლებლის დატრენინგება მოხდა “სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით” მეთოდით სწავლების შესახებ. ამჟამად, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული სკოლების რაოდენობაა - 131 საქართველოში, 58 სომხეთში და 46 მონღოლეთში. აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <https://www.clovekvtisni.cz/en/education>

საგანმანათლებლო პროგრამის “ერთი მსოფლიო სკოლებში” მიზანია თანამედროვე მსოფლიოსთვის აქტუალური სოციალური საკითხების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება, მოსწავლეების კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარება. ამასთან, პროგრამა ხელს უწყობს ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდას.

აღნიშნული პროგრამა სკოლებს სთავაზობს დოკუმენტურ ფილმებსა და მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ეს პროგრამა 2010 წლიდან დაიწყო. სკოლებს დაურიგდათ საგანმანათლებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს მასწავლებლის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს (ინტერაქტიული აქტივობები, როლური თამაშები, ქვიზები, სამუშაო ფურცლები და ა.შ.) და ახალგაზრდებისთვის სპეციალურად შერჩეულ 11 დოკუმენტურ ფილმს.

აღნიშნული კვლევის იდეაც სწორედ ამ საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე გაჩნდა. პროგრამის ვიდეოთეკიდან კვლევისთვის შეირჩა სამი ქართულ ენაზე გახმოვანებული დოკუმენტური ფილმი. ფილმების შერჩევა მოხდა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- სასკოლო გაკვეთილის დროის და ფილმის ხანგრძლივობის შესაბამისობა;

გაკვეთილების ხანგრძლივობა 45 წუთს წარმოადგენს, ამდენად, შეირჩა ფილმები, რომელთა ხანგრძლივობა 30 წუთს არ აღემატება.

- ფილმების თემატიკა/შინაარსი და საზოგადოებრივი მეცნიერებების სასკოლო სასწავლო გეგმით (IX-XII კლასები) გათვალისწინებული საკითხების შესაბამისობა (სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია);

ამის გათვალისწინებით, შერჩეული ფილმები მოიცავდა შემდეგ თემებს:

- ადამიანის უფლებები
- გარემოს დაცვა
- მიმღებლობა/ტოლერანტობა/მიგრაცია
- სამოქალაქო ჩართულობა
- კონფლიქტები
- განათლება
- ბულინგი

და ბოლოს,

- ახალგაზრდების მიერ დემონსტრირებული ინტერესი და მათი მხრიდან დოკუმენტური ფილმების შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერიმენტისთვის შეირჩა შემდეგი სამი დოკუმენტური ფილმი:

1. ბრისტოლის ველოსიპედების პროექტი

Alistair Oldman/გაერთიანებული სამეფო/2009 წ./17 წთ.

2. ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა

Frederic Back/კანადა/1987 წ./30 წთ.

3. ბავშვთა უფლებები

Marjoleine Boonstra, Dorothee Forma, Wilberly Jakobs, Ayfer Ergun, Christel

Voorn/ნიდერლანდები/2009 წ./თითოეული ფილმი 3-4 წთ.

მეორე თავის შეჯამება

მოზარდობა უნიკალურ და რთულ ეტაპს წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების ციკლში. ამ პერიოდში ბავშვი იზრდება ფიზიკურად, ინტელექტუალურად და ემოციურად, რაც ბავშვს მოზრდილ ადამიანად გარდაქმნის. აქედან გამომდინარე, მოზარდებს სჭირდებათ მათზე მორგებული საგანმანათლებლო გარემო და სკოლები, რომლებიც მზად არიან უპასუხონ მათ უნიკალურ ფიზიკურ, ინტელექტუალურ, ემოციურ/ფსიქოლოგიურ, მორალურ/ეთიკურ და სოციალური განვითარების მახასიათებლებსა და საჭიროებებს.

ამ თვალსაზრისით, თანამედროვე განათლების სფეროში აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენება საკმაოდ მნიშვნელოვანი და ეფექტურია, რადგან მათი დახმარებით მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და გააზრებული ხდება. ამასთან, მათი გამოყენება მოსწავლეებს რეალისტურ მაგალითებს და გამოცდილებას აწვდის.

მესამე თავი ეძღვნება დისერტაციის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას და მიღებული შედეგების ანალიზს. მოცემულ თავში განხილულია თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი მეცნიერებების

(სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია) სწავლების პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენება მოზარდთა ღირებულებების და დამოკიდებულებების ფორმირებაზე, საშუალო სკოლის დონეზე (IX-XII კლასები).

აღნიშნულ თავში ასევე განხილულია თუ რა როლს თამაშობს “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდი ეფექტიანი საკლასო მენეჯმენტის შექმნაში. მესამე თავში წარმოდგენილია ორი კვლევის შედეგები:

1. კვლევა 1 – ექსპერიმენტი; კვლევა გამოავლენს სასწავლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენების გავლენას საშუალო სკოლის მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირების პროცესთან მიმართებაში.

2. კვლევა 2 –თვისობრივი კვლევა მასწავლებლებთან; კვლევა გამოავლენს, თუ როგორ დამოკიდებულა აქვთ საქართველოში მასწავლებლებს სწავლა-სწავლების პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენების თაობაზე, როგორ აფასებენ “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდის მნიშვნელობას ეფექტური საკლასო მენეჯმენტის შექმნაში; იყენებენ თუ არა ისინი ამ მეთოდს პრაქტიკაში და რას მიიჩნევენ მის ძლიერ და სუსტ მხარეებად.

სასწავლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენების გავლენისა და მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირების ინდივიდუალურ დონეზე ცვლილებების გამოვლენის მიზნით, მკვლევარმა ჩაატარა ექსპერიმენტი. ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისის 204-მა საშუალო სკოლის მოსწავლემ. აღნიშნული კვლევა ჩატარდა 2015-2016 სასწავლო წელს.

მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება ექსპერიმენტულ მოდელს. კვლევისას შემუშავებულ იქნა პრე და პოსტ-კითხვარი. ამ მოდელის შერჩევა მოხდა იმის გამო, რომ მკვლევარს ერთმანეთისთვის შეედარებინა ღირებულებების/მორალური განვითარების დონე მოზარდებში, რომლებიც მონაწილეობდნენ ექსპერიმენტულ ჯგუფებში (სადაც სასკოლო სახელმძღვანელოებთან ერთად დოკუმენტური ფილმები იქნა გამოყენებული) და საკონტროლო ჯგუფებში (სადაც ექსპერიმენტულ ინტერვენციას ადგილი არ ჰქონია). კვლევის ექსპერიმენტული დიზაინი იძლევა საფუძველს

ამგვარი შედარების გასაკეთებლად. ამდენად, პრე-კითხვარების შევსება მოხდა ექსპერიმენტის ჩატარებამდე და პოსტ-გამოკითხვა განხორციელდა ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ. კითხვარები ექსპერიმენტის მონაწილეებს ნაბეჭდი ფორმით მიეწოდათ.

პრე და პოსტ-კითხვარის შემუშავება მოხდა დოკუმენტური ფილმების თემატიკასთან მიმართებაში. შესაბამისად, კითხვარი ასახავდა ფილმებში წარმოდგენილ თემებს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო სხვადასხვა სოციალურ საკითხთან მიმართებაში მოზარდთა დამოკიდებულებისა და შეხედულებების გამოვლენა.

აღნიშნული პრე-პოსტ კითხვარი სულ მოიცავს 51 დებულებას, რომლებიც დაჯგუფებულია შემდეგ შვიდ ძირითად კატეგორიად:

- ადამიანის უფლებები
- გარემოს დაცვა
- მიმღებლობა/ტოლერანტობა/მიგრაცია
- სამოქალაქო ჩართულობა
- კონფლიქტები
- განათლება
- ბულინგი

თითოეული კატეგორია მოიცავს 6-9 დებულებას, რომლებიც გამოიყენება რესპონდენტის ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გასაზომად კონკრეტულ სოციალურ საკითხთან მიმართებაში.

რესპონდენტთა კითხვარზე დაფუძნებული გამოკითხვა ჩატარდა ფრენსის ლიკერტის სკალის გამოყენებით. კითხვარის დადებით და უარყოფით დებულებებზე, სოციალურად მისაღები პასუხები წინასწარ იქნა განსაზღვრული. დისერტაციის ფარგლებში სოციალურად მისაღები პასუხების დეფინიცია ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებს, რომლებიც მოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, 1948). ამგვარად, მოცემულ ნაშრომში “სოციალურად მისაღები” პასუხი,

წარმოადგენს პასუხს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მიღებულ სოციალურ ნორმებს და უნივერსალურ ადამიანურ ღირებულებებს.

შესაბამისად, კითხვარის ყოველი დებულებითვის არსებობს სოციალურად მისაღები ან მიუღებელი პასუხები, რომლებიც შეესაბამება ან არ შეესაბამება მიღებულ სოციალურ ნორმებს და უნივერსალურ ადამიანურ ღირებულებებს.

კვლევის მონაწილეები

ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად მკვლევარმა შეარჩია ქ. თბილისის ორი საჯარო სკოლა. ეს სკოლები 2013 წლიდან ჩართული არიან საგანმანათლებლო პროგრამაში - “ერთი მსოფლიო საქართველოს სკოლებში”. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სკოლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა პედაგოგები უკვე მომზადებულნი იყვნენ და იყენებდნენ “წავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით” მეთოდს. ცხრილი 1 ასახავს ამ ინფორმაციას:

ცხრილი 1. სამიზნე სკოლები ქ. თბილისში

N	თბილისი
1	სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას ფიზიკა-მათემატიკის სახელობის ქალაქ თბილისის N 42-ე საჯარო სკოლა
2	ქ. თბილისის N136-ე საჯარო სკოლა

ექსპერიმენტში სულ 204 მონაწილე იყო ჩართული. კვლევის მონაწილეებს წარმოადგენდნენ 15-17 წლის ასაკის მოსწავლეები. პრე კითხვარების შევსების შემდეგ აღნიშნული 204 მოსწავლიდან 9 მოსწავლე გამოეთიშა ექსპერიმენტს დასწრების პრობლემის გამო. თუმცა, მნიშვნელოვანია აქვე აღინიშნოს, რომ მონაცემებიდან სრულიად მოხდა მათი პასუხების იგნორირება, რადგან კითხვარები ანონიმური კი იყო, მაგრამ კოდირებული თითოეული მონაწილისათვის სპეციფიკური სიმბოლოებით (მაგ. საკუთარი და მშობლების სახელების პირველი ასოები, დაბადების თარიღი, სქესი, ასაკი). ამდენად, აღნიშნული 9 მოსწავლის

იდენტიფიცირება, რომლებმაც არ შეავსეს პოსტ კითხვარი შესაძლებელი გახდა. ამდენად, საბოლოო ჯამში მივიღეთ 195 შევსებული პრე და პოსტ კითხვარი.

პროცესი

ექსპერიმენტის საწყისი ეტაპი მოიცავდა სკოლებში დაგეგმილი ექსპერიმენტული ინტერვენციის განხორციელებას, კერძოდ, დოკუმენტური ფილმების გამოყენებას სასწავლო პროცესში და ფილმის ჩვენების შემდგომ შესაბამის აქტივობებს. ექსპერიმენტის დაწყებისას, შერჩეული სკოლების IX-XII კლასის მოსწავლეებმა (სულ 204 მოსწავლე, 4 ექსპერიმენტული და 4 საკონტროლო ჯგუფი ორ სკოლაში) შეავსეს პრე-კითხვარი. მომდევნო ეტაპზე, მხოლოდ ექსპერიმენტულ ჯგუფებში მონაწილე მოსწავლეებმა ნახეს ზემოთ აღნიშნული სამი დოკუმენტური ფილმი და მონაწილეობა მიიღეს შესაბამის აქტივობებში. თითოეულ ჩვენებას თან ახლდა ფილმის რეფლექსის აქტივობა, ჯგუფური დისკუსია და შესაბამისი აქტივობები. მასწავლებლები იყენებდნენ ინტერაქტიული სწავლების სხვადასხვა მეთოდს, როგორცაა გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი რუკა, როლური თამაშები, თავისუფალი წერა, ჯიგსოუს მეთოდი და სხვა.

საკლასო ოთახში გამოყენებული ყველა პრაქტიკული აქტივობა მასწავლებელთა მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, თითოეულ გაკვეთილს ჰქონდა თავისი მიზნები და გაკვეთილის გეგმა, რომელიც მასწავლებელს წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული.

თითოეულ ექსპერიმენტულ ჯგუფში (სულ ოთხი ექსპერიმენტული ჯგუფი ორ სკოლაში) მოხდა სამი დოკუმენტური ფილმის ჩვენება. ამდენად, 6 ჩვენება განხორციელდა ქ. თბილისის N136-ე საჯარო სკოლის ორ ექსპერიმენტულ ჯგუფში/კლასში; 6 ჩვენება ჩატარდა სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას ფიზიკა-მათემატიკის სახელობის ქალაქ თბილისის N42-ე საჯარო სკოლის ორ ექსპერიმენტულ ჯგუფში/კლასში.


შესაბამისად, ორივე სკოლაში ჯამურად 4 ექსპერიმენტულ ჯგუფში/კლასში 12-ჯერ მოხდა ფილმების ჩვენება, რასაც თან ახლდა, ფილმებში წარმოდგენილი თემების განხილვა და შესაბამისი პრაქტიკული აქტივობები.

პოსტ-გამოკითხვის ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 195-მა მოსწავლემ (იგივე 4 ექსპერიმენტული და 4 საკონტროლო ჯგუფი/კლასი ორი სკოლიდან), რომელთაც პოსტ-კითხვარი ნაბეჭდი ფორმით მიეწოდათ.

მონაცემების ანალიზი და შედეგები


მონაცემთა ანალიზი მოხდა SPSS (სოციალური მეცნიერებების სტატისტიკური პაკეტი) პროგრამის (ვერსია 16) გამოყენებით. მონაცემების დამუშავებისთვის გამოყენებული იქნა აღწერითი სტატისტიკური მეთოდები. ქვემოთ მოყვანილია ორივე სამიზნე სკოლაში პრე და პოსტ გამოკითხვის შედეგები. იხილეთ გრაფიკი 1.

გრაფიკი 1. რესპონდენტთა განაწილება სკოლებში პრე და პოსტ კითხვარების რაოდენობის მიხედვით




სქესის მიხედვით ექსპერიმენტში მონაწილეთა რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო. ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკი ასახავს ექსპერიმენტში მონაწილე მოსწავლეების განაწილებას სქესის მიხედვით. იხილეთ გრაფიკი 2.

გრაფიკი 2. რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით




კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავება (22.13%) ექსპერიმენტული ჯგუფების რესპონდენტთა პასუხებს შორის პრე და პოსტ კითხვარებში (“სრულიად ვეთანხმები” და “ვეთანხმები” პასუხების ჯამი). ქვემოთ მოყვანილი გრაფიკები 3 და 4 აჩვენებს სოციალურად მისაღებ პასუხებს შორის განსხვავებას პრე და პოსტ კითხვარებში.

გრაფიკი 3. ექსპერიმენტული ჯგუფის რესპონდენტთა სოციალურად მისაღები პასუხების განაწილება, პრე კითხვარის მიხედვით



გრაფიკი 4. ექსპერიმენტული ჯგუფის რესპონდენტთა სოციალურად მისაღები პასუხების განაწილება, პოსტ კითხვარის მიხედვით


ექსპერიმენტული ჯგუფები (პოსტ-კითხვარები)




რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფებს, აქ პრე და პოსტ გამოკითხვის ეტაპზე შედეგების ცვლილებას პრაქტიკულად ადგილი არ ჰქონია - 0.22% ("სრულიად ვეთანხმები" და "ვეთანხმები" პასუხების ჯამი). ეს ნათლად ასახავს იმ ფაქტს, რომ ექსპერიმენტული ჩარევის არარსებობის პირობებში მოსწავლეთა დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ცვლილება არ მომხდარა. ამასთან, ეს ფაქტი ხაზს უსვამს ექსპერიმენტული ინტერვენციის ეფექტურობას. გრაფიკები 5 და 6 ასახავს საკონტროლო ჯგუფების პრე და პოსტ-გამოკითხვის შედეგებს სოციალურად მისაღები პასუხების კუთხით. იხილეთ გრაფიკი 5 და 6.

გრაფიკი 5. საკონტროლო ჯგუფის რესპონდენტთა სოციალურად მისაღები პასუხების განაწილება, პრე კითხვარის მიხედვით

საკონტროლო ჯგუფები (პრე-კითხვარები)



გრაფიკი 6. საკონტროლო ჯგუფის რესპონდენტთა სოციალურად მისაღები პასუხების განაწილება, პოსტ კითხვარის მიხედვით



ამრიგად, განსხვავება ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების შედეგებს შორის აშკარაა. საკონტროლო ჯგუფების შედეგები თითქმის იგივე დარჩა, მაშინ როდესაც ექსპერიმენტული ჯგუფების შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა პრე და პოსტ-გამოკითხვის ეტაპებზე.

აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინტერვენციაში (ექსპერიმენტულ ჯგუფებში) ჩართული მოზარდების ღირებულებები/მორალური განვითარების დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა პოსტ-გამოკითხვის შედეგებში, იმ მოზარდებთან (საკონტროლო ჯგუფები) შედარებით, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ექსპერიმენტულ ინტერვენციაში.

ექსპერიმენტულ ჯგუფებში სოციალურად მისაღები პასუხების განაწილება ასე გამოიყურება: მაშინ, როდესაც პრე-კითხვარებში პასუხების 76.83% იყო სოციალურად მისაღები, პოსტ-კითხვარებში ამ მაჩვენებელმა 98.96% შეადგინა. ამგვარად, ექსპერიმენტულ ჯგუფებში ინტერვენციის შედეგად მონაწილეთა სოციალურად მისაღები პასუხები 22.13%-ით გაიზარდა პრე-კითხვარებთან შედარებით. რა თქმა უნდა, ეს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, მაშინ, როდესაც საკონტროლო ჯგუფებში, პრე და პოსტ-კითხვარების შედეგები განსხვავდება მხოლოდ 0.22%-ით, რაც, სტატისტიკურად უმნიშვნელო მონაცემს

წარმოადგენს. ამასთან, საკონტროლო ჯგუფების პრე და პოსტ კითხვარების შედეგებში უმნიშვნელო განსხვავება მიუთითებს სხვა ფაქტორების გავლენის არარსებობაზე, რაც ექსპერიმენტული ინტერვენციის ეფექტს კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის. იხილეთ ცხრილში 2.

ცხრილი 2. სოციალურად მისაღები პასუხების განაწილება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში, პრე და პოსტ კითხვარების მიხედვით

სოციალურად მისაღები პასუხები	პრე-კითხვარი	პოსტ-კითხვარი
ექსპერიმენტული ჯგუფები	76.83%	98.96%
საკონტროლო ჯგუფები	75.04%	75.26%

გენდერული თვალსაზრისით, ექსპერიმენტულ ჯგუფებში პოსტ გამოკითხვის შედეგებით დასტურდება, რომ გაიზარდა სოციალურად მისაღები პასუხების მაჩვენებელი, როგორც გოგოების, ასევე ბიჭების შემთხვევაში. ასე მაგალითად, ექსპერიმენტულ ჯგუფებში გოგოების სოციალურად მისაღები პასუხების რაოდენობამ ინტერვენციის შედეგად, მოიმატა 23.19%-ით პოსტ გამოკითხვაში პრე გამოკითხვასთან შედარებით. მაშინ როდესაც, საკონტროლო ჯგუფებში გოგოების პრე და პოსტ გამოკითხვაში პასუხების სხვაობა მხოლოდ 0.73%-ს შეადგენს. იხილეთ ცხრილი 3.

ცხრილი 3. სოციალურად მისაღები პასუხების განაწილება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში, პრე და პოსტ კითხვარების მიხედვით, რესპონდენტთა სქესის გათვალისწინებით (გოგოები)

სოციალურად მისაღები პასუხები	პრე-კითხვარი	პოსტ-კითხვარი
ექსპერიმენტული ჯგუფები	76,35%	99,54%
საკონტროლო ჯგუფები	75,84%	76,57%

იგივე ტენდენციას ჰქონდა ადგილი ბიჭი რესპონდენტების შემთხვევაშიც. აქაც, ექსპერიმენტული ჯგუფების პრე და პოსტ გამოკითხვის შედეგებს შორის სხვაობა ნათელია და 21.09% შეადგენს. რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფებში იგივე მონაცემს,

მხოლოდ 0.51%-ით შეიცვალა. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ინტერვენციის შედეგიანობას. იხილეთ ცხრილი 4.

ცხრილი 4. სოციალურად მისაღები პასუხების განაწილება ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებში, პრე და პოსტ კითხვარების მიხედვით, რესპონდენტთა სქესის გათვალისწინებით (ბიჭები)

სოციალურად მისაღები პასუხები	პრე-კითხვარი	პოსტ-კითხვარი
ექსპერიმენტული ჯგუფები	77,27%	98,36%
საკონტროლო ჯგუფები	75,42%	75,93%

რაც შეეხება სქესთა შორის განსხვავებას, როგორც ზემოთ მოცემული ცხრილებით დასტურდება, ორივე სქესის წარმომადგენლებს შორის ექსპერიმენტულ ჯგუფებში ნათელია სოციალურად მისაღები პასუხების ზრდის ტენდენცია. ანუ, როგორც გოგოების ისე ბიჭების დამოკიდებულებები და ღირებულებები სხვადასხვა სოციალურ საკითხთან მიმართებაში საგრძნობლად შეიცვალა ექსპერიმენტული ჩარევის შედეგად.

მაგრამ თუ შევადარებთ ექსპერიმენტულ ჯგუფებში პოსტ-გამოკითხვის შედეგებს ბიჭი და გოგო რესპონდენტების შემთხვევაში (სქესის მიხედვით), დავინახავთ, რომ მათ შორის განსხვავება მხოლოდ 1.18%, საკონტროლო ჯგუფებში კი იგივე მაჩვენებელი - 0.64%.

ამდენად, აღნიშნული ექსპერიმენტის ფარგლებში სქესთა შორის ღირებულებების დონის განსხვავებებზე/ცვლილებაზე დასკვნის გაკეთება სტატისტიკურად არადაამაჯერებელი და უმნიშვნელო იქნება. კვლევამ ვერ გამოავლინა სქესის ნიშნის მიხედვით მოზარდთა ღირებულებების სხვაობა. აღნიშნული მონაცემები არ გვაძლევს განზოგადებული დასკვნის გაკეთების საშუალებას.

I კვლევის დასკვნები

კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავება ღირებულებების/მორალის განვითარების კუთხით იმ მოზარდებში, რომლებიც მონაწილეობდნენ ექსპერიმენტულ ჯგუფებში (22.13%), მაშინ როდესაც, საკონტროლო ჯგუფებში ძალიან უმნიშვნელო ცვლილებას ჰქონდა ადგილი (0.22%). მიღებული შედეგებით დასტურდება, რომ აუდიოვიზუალური მასალების, კერძოდ, დოკუმენტური ფილმების, გამოყენება სასწავლო პროცესში ეფექტური საშუალებაა მოსწავლეთა ღირებულებების განვითარების ხელშესაწყობად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას დოკუმენტური ფილმების გამოყენება, ტრადიციულ მეთოდებთან ერთად გაცილებით ეფექტურ შედეგს იძლევა ამ თვალსაზრისით. ამ მეთოდით ხდება ახალგაზრდების ინფორმირება თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებზე. დოკუმენტური ფილმების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეების კრიტიკული აზროვნების, კითხვების ფორმულირებისა და ინფორმირებული მოსაზრებების ჩამოყალიბებას. ასევე ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობას, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მათ ჩართულობას და საკუთარი წვლილის შეტანას მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების მოგვარებაში.

აღნიშნული მეთოდი მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს ურთიერთობა დაამყარონ სხვებთან, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები და უკეთ შეძლონ სოციალური საკითხების გაგება. დოკუმენტური ფილმები საზოგადოებრივ მეცნიერებათა (სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია) სწავლა-სწავლებისთვის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. ამასთან, მათი გამოყენება და ჩართვა სხვა საგნების სასკოლო სასწავლო პროგრამაშიც მარტივად შეიძლება.

კვლევა 2. თვისობრივი კვლევა მასწავლებლებთან

მეორე კვლევა გამოავლენს თუ როგორ აფასებენ მასწავლებლები საქართველოში “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდს, რამდენად იყენებენ სასწავლო პროცესში დოკუმენტურ ფილმებს, რა გავლენას ახდენს მათი აზრით ამ

მეთოდით სწავლება ეფექტური საკლასო მენეჯმენტის შექმნაზე და ამასთან, რა წარმოადგენს მეთოდის ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნული საკითხების შესასწავლად მკვლევარმა ზემოთ აღნიშნული სკოლების საზოგადოებრივი მეცნიერებების (სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია) ექვს მასწავლებელთან ჩაატარა ჩაღრმავებული ინტერვიუ.

კვლევის მიზნებია:

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების (სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია) სწავლებისას “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდის ეფექტურობის შეფასება საშუალო სკოლის დონეზე.
2. მასწავლებელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა, რომლებიც სასწავლო პროცესში აღნიშნულ მეთოდს იყენებენ.
3. “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდის გავლენის შეფასება ეფექტური საკლასო მენეჯმენტის შექმნაზე.

მეთოდოლოგია

მასწავლებლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების განსახორციელებლად შემუშავებულ იქნა ინტერვიუს ფორმა. ინტერვიუს კითხვები ფოკუსირებული იყო რესპონდენტთა აზრის, დამოკიდებულებების და მათი კმაყოფილების დონის განსაზღვრაზე “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდის ეფექტურობასთან მიმართებაში.

კითხვები ეხებოდა აღნიშნული მეთოდის პრაქტიკაში გამოყენების ეფექტურობას, მის გავლენას საკლასო მენეჯმენტის საკითხებზე, მეთოდის უპირატესობებსა და შეზღუდვებს, მეთოდის გამოყენების შედეგებს ექსპერიმენტში მონაწილე მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე. ინტერვიუს ფორმა მოიცავდა 12 ძირითად კითხვას. მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდგომ განხორციელდა ინტერვიუების აუდიო ჩაწერა და ინტერვიუების ანალიზი.

კვლევის მონაწილეები

აღნიშნული კვლევის რესპონდენტები/მონაწილეები იყვნენ თბილისის ორი საჯარო სკოლის პედაგოგები. მათი ასაკი მერყეობდა 30-დან 50 წლამდე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ ექვსმა მასწავლებელმა ორივე სამიზნე სკოლიდან. ექვსი რესპონდენტიდან - 2 სამოქალაქო განათლების, 2 ისტორიის და 2 გეოგრაფიის პედაგოგი. ქვემოთ მოცემული ცხრილი 5 აჩვენებს ამ ინფორმაციას.

ცხრილი 5. სამიზნე სკოლები ქ. თბილისში

N	სამიზნე სკოლები ქ. თბილისში	საგნები	მასწავლებელთა რაოდენობა
1.	სსიპ აკადემიკოს ილია ვეკუას ფიზიკა-მათემატიკის სახელობის ქალაქ თბილისის N 42-ე საჯარო სკოლა	სამოქალაქო განათლება ისტორია გეოგრაფია	1 1 1
2.	ქ. თბილისის N 136-ე საჯარო სკოლა	სამოქალაქო განათლება ისტორია გეოგრაფია	1 1 1

მეორე კვლევის დასკვნები

ხარისხობრივი კვლევის ძირითადი მიგნებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენება არის ეფექტური დამატებითი მეთოდი, რომელიც სწავლების ტრადიციულ მეთოდებს კარგად ავსებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების (სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია) ინსტრუქტირებისას დოკუმენტური ფილმების გამოყენება ეფექტური და თანამედროვე მეთოდია, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებას.

დოკუმენტური ფილმების გავლენა აიხსნება მოსწავლეთა ინტერესის დონისა და მათი ჩართულობის გაზრდაზე. ამასთან, ამ მეთოდის გამოყენება აუმჯობესებს საკლასო გარემოს.

დოკუმენტური ფილმები სტიმულს აძლევს მოსწავლეებს მეტად ჩაერთონ საკლასო პროცესებში, ზრდის მათი სოციალური და ემოციური ცნობიერების დონეს, რაც მხოლოდ სახელმძღვანელოებისა და ტრადიციული სწავლების მეთოდებით ნაკლებად შესაძლებელია.

აქედან გამომდინარე, მეთოდი “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლება” მნიშვნელოვნია საქართველოს სასკოლო განათლების სისტემისთვის. აღნიშნული მეთოდის გამოყენება მომავალში შესაძლებელია სხვა სასკოლო საგნების სასწავლო პროცესშიც.

დოკუმენტური ფილმების გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები:

კვლევამ გამოავლინა “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდთან დაკავშირებული რამდენიმე შეზღუდვა:

- სკოლებში მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტექნიკური პრობლემები და/ან მასწავლებლების არასაკმარისი ტექნიკური უნარები.
- ქართული წარმოების და/ან ქართულ ენაზე გახმოვანებული დოკუმენტური ფილმების შეზღუდული რაოდენობა.
- მასწავლებელს სჭირდება მეტი დრო და ძალისხმევა დოკუმენტური ფილმების გამოყენებით გაკვეთილის დასაგეგმად/მოსამზადებლად.
- რამდენადაც აღნიშნული თვისობრივი კვლევა მცირე მასშტაბიანი იყო, შედეგების განზოგადების მიზნით უკეთესი იქნებოდა მისი მასშტაბის გაზრდა.

დასკვნები

ლიტერატურის ანალიზსა და ჩატარებული კვლევის შედეგებს შემდეგ ფუნდამენტურ დასკვნებამდე მივყავართ:

1. ღირებულებები ცნებები და/ან რწმენებია, რომლებიც ცხოვრების სახელმძღვანელო პრინციპებად ფორმირდება განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სოციალიზაციისა და განათლების გავლენით, სოციალური ინტერაქციის შედეგად. ღირებულების დეფინიციისადმი მიძღვნილი სხვადასხვა წყაროს/თეორიის დეტალურად შესწავლის საფუძველზე, შეიძლება ითქვას რომ: 1. ღირებულებები ზოგადი სტანდარტები და უმაღლესი რანგის ნორმებია. 2. ღირებულება არის რწმენა იმისა, რომ რაიმე კარგი და ღირებულია. 3. ღირებულება არის სიკეთის და სასურველობის საზომი. 4. ღირებულებები არის განსაზღვრული და სოციალურად მისაღები სურვილები და საქციელები, რომლებთა ინტერნალიზაცია სწავლისა და სოციალიზაციის პროცესით ხდება.
2. განათლება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანური ღირებულებების და დაგროვილი ცოდნის გადაცემა საზოგადოებაში. ის ძლიერი ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც ინდივიდში ღირებულებების ჩამოყალიბება ხდება. შესაბამისად, ყველა საგანმანათლებლო ინსტიტუტს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ახალგაზრდებისათვის ღირებულებების გადაცემისა და ფორმირების კუთხით. ოჯახსა და საზოგადოებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბავშვის ღირებულებების/მორალის განვითარებაში. ოჯახი არის ის საფუძველი, რომელზეც ღირებულებები შენდება. თუმცა, სკოლა და მასწავლებლები არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოზარდთა ინტელექტუალური ზრდისა და ღირებულებების ფორმირების ხელშესაწყობად.
3. მოზარდობა ადამიანის ცხოვრებაში კრიტიკული მნიშვნელობის მქონე პერიოდია, რადგან სწორედ ამ დროს ხდება ადამიანური ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება. ამ სენსიტიურ პერიოდში მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა ხელი შეუწყონ მოსწავლეთა,

ინტელექტუალურ, მორალურ და სოციო-ემოციურ განვითარებას. ისინი უნდა დაეხმარონ მოზარდებს ღირებულებების არსისა და მნიშვნელობის სიღრმისეულ გააზრებაში, საზოგადოებისა და თვითონ მოზარდთა საკეთილდღეოდ. ამდენად, მასწავლებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა, როგორც საზოგადოების ღირსეულ წევრთა აღზრდაში.

4. აუდიოვიზუალური საშუალებები, კერძოდ, დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების მეთოდი, ხელს უწყობს მოსწავლეთა აზროვნების განვითარებას და აუმჯობესებს სასწავლო გარემოს საკლასო ოთახში. აუდიოვიზუალური საშუალებების ეფექტური გამოყენება მონოტონური სასწავლო გარემოს გამრავალფეროვნების კარგი საშუალებაა. მოსწავლეები სწავლობენ უკეთ, როდესაც საკლასო ოთახში პოზიტიური სასწავლო გარემო იქმნება. აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ყურადღების, საკითხის უკეთ გააზრებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გაზრდას. მათი გამოყენება პედაგოგებს ეხმარება სასწავლო მიზნების მიღწევაში. მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა მოტივირების ალბათობა, აუდიოვიზუალური მასალის გამოყენებით უფრო მაღალია. და ბოლოს, აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენება მოსწავლეებს რეალისტურ მიდგომასა და გამოცდილებას აწვდის.

5. დოკუმენტური ფილმები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მოსწავლეების ღირებულებების/მორალის განვითარებაზე საშუალო სკოლის დონეზე. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ დოკუმენტური ფილმები, ხელს უწყობს მოსწავლეთა ღირებულებების/მორალურ განვითარებას და პიროვნულ ზრდას, რეფლექსიის, დისკუსიებსა და სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით, რომლებიც უკავშირდება ფილმში წარმოდგენილ თემებს. კვლევა აჩვენებს, რომ არსებობს პოზიტიური კორელაცია სასწავლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენებასა და მოსწავლეთა ღირებულებების/დამოკიდებულების ცვლილებებს შორის. მოსწავლეთა ღირებულებები და დამოკიდებულებები სხვადასხვა სოციალურ საკითხებთან მიმართებაში გაცილებით მეტად იცვლება

(22.13%-ით), როდესაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასკოლო სასწავლო პროგრამაში გამოყენებულია დოკუმენტური ფილმები.

6. მოსწავლეები უფრო მეტ ინფორმაციას იღებენ დოკუმენტური ფილმების საშუალებით, რაც ხელს უწყობს საკითხების სიღრმისეულ გაგება-გააზრებას. სასწავლო პროცესში მასწავლებლების მიერ დოკუმენტური ფილმების სწორად და მიზანმიმართულად გამოყენება, რთულ კონცეფციებსა და აბსტრაქტულ იდეებს მოსწავლეებისთვის უფრო გასაგებს ხდის. მოსწავლეები მეტი ინტერესით ეკიდებიან სწავლა-სწავლების პროცესს და ამით, მათი აკადემიური ცოდნა ღრმავდება.

7. დოკუმენტური ფილმები კავშირს ამყარებს საგანს/საკითხს და რეალურ ცხოვრებას შორის, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სასწავლო საკითხები რეალურ ცხოვრებას დაუკავშირონ. ეს მეთოდი ხელს უწყობს სხვადასხვა საკითხის შესწავლას წინარე ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების დაკავშირების გზით. დოკუმენტური ფილმები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს იფიქრონ, განიხილონ და შეაფასონ მნიშვნელოვანი სოციალური საკითხები სხვადასხვა პერსპექტივიდან. საშუალო სკოლის დონეზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა (სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია) სწავლა-სწავლება უფრო ეფექტური გახდება თუ პედაგოგები სწორად და მიზანმიმართულად გამოიყენებენ დოკუმენტურ ფილმებს.

8. კვლევამ აჩვენა, რომ დოკუმენტური ფილმების გამოყენება, როგორც სწავლების მეთოდი, აუმჯობესებს სასწავლო გარემოსა და საკლასო მენეჯმენტს. მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის გზით, უზრუნველყოფს ერთობლივად მუშაობის შესაძლებლობას, ქმნის და ინარჩუნებს პოზიტიურ საკლასო გარემოს. ეს მეთოდი სასწავლო გარემოს მეტად ინტერაქტიულს ხდის, ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლეები იყვნენ პასიური მსმენელები, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო აქტივობებში, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის კარგად გაგება-გააზრებასა და ცოდნის დონის ამაღლებას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პროდუქტიული სასწავლო გარემოს შექმნას, იზრდება ამოცანაზე/დავალებებზე დახარჯული დრო.

საგანმანათლებლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენება ხელს უწყობს ღირებულ აკადემიურ სწავლებას და აკადემიური ჩართულობის ხანგრძლივობას. მეტიც, მეთოდი აუმჯობესებს მოსწავლეთა შორის ურთიერთკავშირებს, აძლიერებს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობებს, ხელს უწყობს მათ სოციალურ და ემოციურ ზრდას.

9. სასწავლო პროცესში დოკუმენტური ფილმების გამოყენება ეფექტურია, როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვისაც. დოკუმენტური ფილმები საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებას უფრო ეფექტურს, გაკვეთილებს კი, უფრო ინტერაქტიულს და საინტერესოს ხდის. ფილმები ამდლებენ მოსწავლეების მოტივაციას, მათი გამოყენებით **იზრდება საგნის სწავლების ხარისხი**, რადგან მასწავლებლებიც მეტად მოტივირებულნი ხდებიან მოიძიონ/მიმართონ სწავლების ახალ მეთოდებსა და მიდგომებს, რაც მოსწავლეებისთვის საინტერესო და სასარგებლოა. აღნიშნული მეთოდი მასწავლებლებს საშუალებას აძლევს გაიდრმავონ ცოდნა და გამოცდილება სასკოლო სასწავლო პროგრამის მიღმა.

10. დოკუმენტური ფილმების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში არის ეფექტური დამატებითი მეთოდი, რომელიც სწავლების ტრადიციულ მეთოდებს ავსებს. საშუალო სკოლის დონეზე, საზოგადოებრივი მეცნიერებების ინსტრუქტირება დოკუმენტური ფილმების გამოყენებით ეფექტური და თანამედროვე მეთოდია, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. დოკუმენტური ფილმების გავლენა აიხსნება მოსწავლეთა ინტერესისა და ჩართულობის გაზრდაზე. ამასთან, უმჯობესდება საკლასო გარემო.

11. კვლევამ ასევე გამოავლინა “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები. როგორცაა, სკოლების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (პროექტორი, კომპიუტერი და ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობები საკლასო ოთახებში), ასევე ბევრ მასწავლებელს არ აქვს საკმარისი ტექნიკური უნარები, რათა პრაქტიკაში შეძლონ ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

გარდა ამისა, საქართველოში წარმოებული ან ქართულად გახმოვანებული დოკუმენტური ფილმების შეზღუდული რაოდენობა, რომლებიც უკეთ ასახავენ ადგილობრივ კონტექსტს, და ბოლოს, ეს მეთოდი მასწავლებლებისგან მეტი ძალისხმევის და დროის დათმობას მოითხოვს გაკვეთილების მოსამზადებლად.

რეკომენდაციები

- სასურველია დოკუმენტური ფილმების, როგორც სწავლების დამატებითი მეთოდის შეტანა საზოგადოებრივი მეცნიერებების (სამოქალაქო განათლება, ისტორია და გეოგრაფია) სასკოლო სასწავლო პროგრამაში, საშუალო სკოლის დონეზე (IX-XII კლასები).
- მასწავლებლები სასწავლო პროცესში ძირითადად მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებს იყენებენ. ამიტომ, მკვლევარის რეკომენდაციაა სასწავლო რესურსებისა და მიდგომების გამრავალფეროვნების მიზნით პედაგოგებისათვის “დოკუმენტური ფილმების მეშვეობით სწავლების” მეთოდის გაცნობა.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროცესში დოკუმენტური ფილმების ეფექტურად გამოყენების საკითხებზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებისათვის ტრენინგების/სემინარების ჩატარება.
- სასურველია, სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურის მოდიფიცირება, რათა შესაძლებელი გახდეს დოკუმენტური ფილმების ჩვენება საკლასო ოთახებში.
- სასურველია, გაიზარდოს დოკუმენტური ფილმების რაოდენობა, გაფართოვდეს ასაკობრივი და თემატური სპექტრი. განსაკუთრებით, რეკომენდირებულია გაიზარდოს ქართული წარმოების ან ქართულად გახმოვანებული დოკუმენტური ფილმების რაოდენობა, რათა მოხდეს ადგილობრივი კონტექსტის უკეთესად ასახვა.
- სასურველია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიმართოს არასამთავრობო ორგანიზაციებს, სასკოლო განათლების სფეროში

დაინტერესებულ მხარეებს ან/და ექსპერტებს, რათა მათი დახმარებით მოხდეს ახალი სასწავლო მასალებისა და მასწავლებლებისთვის განკუთვნილი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შექმნა.

დისერტაციის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. Kuchukhidze, Sh. (2017). Using documentaries to teaching and learning in social sciences instruction in schools and evaluation of the method effectiveness. *Journal Association 1901 "SEPIKE"*, Edition 16. p. 17-22
2. Kuchukhidze, Sh. (2016). Using documentaries in social science instruction in schools as an effective source of value development for high school students. *Journal of Education in Black Sea Region*. Vol. 2, No 1, p.116-129
3. Kuchukhidze, Sh. (2016). Managing the development of the high school students' values while teaching through documentaries. *6th International Research Conference on Education, Language & Literature*. IBSU. April 22-23, Tbilisi. Georgia. p. 428-439
4. Kuchukhidze, Sh. (2015). Theories of value development and teacher's role in supporting students' personal, social and emotional development. *5th International Research Conference on Education, English Language teaching, English Language and Literatures in English*. IBSU. May 1-2, Tbilisi. Georgia. p. 262-269